მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 19 | 1883—1903 | 15 ოკტომბერი

სამაზრო წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსება რაჭის სამღვდელოების მიერ ს. წესში.

მიმდინარე წლის მარტის თვეში შორაპნის სამღვდელოების წარმომადგენელთ ქონდათ მსჯელობა მათი მეუფეების, ეპისკოპოსის დეონიდის წინადადებისამებრ სამაზრო წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსებისათვის. კარგად მოეხსენებათ ჩვენ მკითხველებს, რომ შორაპნის სამაზრო წიგნთ საცავს შესწირა თავისი წიგნთ საცავი დეკ. დ. დამბაშიძემ და მეორე კიდევ ვაჭარმა გ. ზ. ჩუბინიძე დაბირდა სამკითხველო-წიგნთსაცავის სახლის აშენებას. სხვა-და-სხვა მოფიქრების შემდეგ კრებამ დაადგინა წელიწადში თითეული კრებლიისაგან შეკრება სამ-სამი მანეთისა წიგნთ საცავ-სამკითხველოს არსებობისათვის დ. უვირიდაში. სამღვდელოებამ დანიშნა კომიტეტი, რომელმაც უნდა განაგოს წიგნთ საცავ-სამკითხველოს საქმე და მიაწოდოს სამღვდელოებას საკითხავი და საქადაგებელი წიგნები რელიგიური და ზნეობრივი შინაარსისა. შედგენილი ჟურნალი ამ საგნის შესახებ მათი მეუფეებისაგან დამტკიცებულია იეო ამწლის 6 მარტს.

ამავე მიზანით ამწლის 15-ს სექტემბერს მათი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოზის ლეონიდის წინადადებით ჭელიშის მონასტერში შეიკრიბენ რაჭის სამღვდელოების წარმომადგენელნი. კრების წინ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც სისტემატიურად აუხსნა დამსწრე სამღვდელოებას აწინდელი მისი უფერული მდგომარეობა და უჩვენა საღსარი ამ მდგომარეობის გაუმჯობესობისა.

„ყველასათვის ცხადიაო, ბრძანა მღვდელ-მთავარმა, თუ როგორ ეცემა ხალხში ქრისტეს სარწმუნოება და ქვეითდება ჩვენი საღვთისმეტყველო

ლიტერატურა. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ვართ ისევ ჩვენ, ვინაიდგან გულგრილათ ვუყურებთ ხალხის განათლების საქმეს და მით ჩამოვრჩენილვართ უკან სხვა თემების სამღვდელოებას.

საჭიროა დაახლოვებით გავიცნოთ მეზობელ ხალხთა სასულიერო ლიტერატურა, გავხსნათ უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოები, ვბეჭდოთ პატარა წიგნაკები სარწმუნოებრივი ან ზნეობრივი შინაარსისა ხალხში გასავრცელებლად,—ხოლო ეკლესიის კათედრიდგან წარმოთქმულ ცხოველ სიტყვით თვალ საჩინოდ დავანახოთ ხალხს მისი ღირსება და ნაკლულევანება.“

მღვდელმთავრის წინადადებას დიდის თანაგრძნობით მიეგება რაჭის სამღვდელოება ⁂ დაადგინა: გახსნას ერთი წიგნთ-საცავ-სამკითხველო საშუალო ადგილას, რომლის სისრულეში მოსაყვანად უნდა გაიღოს კრებულმა თითო თუმანი ე. ი. მთელის რაჭის სამღვდელოებამ არა ნაკლებ რვაასის მანეთისა წელიწადში. ხოლო ქადაგების საქმის გასაუმჯობესებლად არჩეულ იქმნას კომისია, რომელმაც წინდაწინვე უნდა მიაწოდოს სამღვდელოებას ის თემები, რაზედაც უნდა წარმოსთქვან სიტყვა. ხელ-ნაწერი სიტყვები უნდა გარდაეცეს კომისიას, რომლის შემოწმების შემდეგ წარმოითქმებოდენ თვით ეკლესიაში.

რაჭის მაზრის სამღვდელოების წარმომადგენელთა შედგენილ ჟურნალზე მათმა მეუფებამ კეთილ ინება შემდეგი რეზოლიუციის დაწერა:

29 სექტემბერს 1903 წელსა. სულით და გულით ვეგებები ამ კეთილს, გონიერს და სრული უურადღებას დასამსახურებულ გარდაწყვეტილებას რაჭის მაზრის სამღვდელოების წარმომადგენელებისას. უგულითადესად ვევედრები ეოვლად მოწყალე ღმერთს მოუვლინოს ზემო აღნიშნულ სამღვდელოებას მადლი და კურთხევა თვისი, რათა საუკეთესოდ განხორციელებულ იქმნეს მათი განზრახული საქმე. უცვალებელი და მუდმივი მოვალეობა სულიერ მწყემსთა აღავსონ გონება და გული მათდამი რწმუნებულ ჰირმეტუველ ცხოვართა ქვეუნის მაცხოვრის მადლიანის სწავლის ცხოველი სასმელითა მოუწოდებს თითეულს მათგანს გამოიჩინონ განსხვავებული მცადინობა და მოძღვრული ბეჯითობა უმაღლეს საქმეში-ღვთის სიტყვის ქადაგებაში, განსაკუთრებით ამ დროს როცა ხალხი ერთის მხრით გონებით იღვიძებს ⁂ მეორეს მხრით როცა ასე სისწრაფით, მსგავსად ჩქარი მიმავალი მდინარისა ვრცელდება საზოგადოების ეოველ წრეში ეკლესიისა, სარწმუნოებისა და კეთილ ზნეობისადმი წინააღმდეგი მიმართულება. გულითად ვმადლობ რაჭის მაზრის სამღვდელოებას! ვნუგეშობ იმ იმედით, რომ კეთილი მაგალითის რაჭის მაზრის სულიერ მოძღვართა არ დააეოვნებს გამოიწვიოს მიბაძვა დანარჩენ ეპარქიის სამღვდელოებაში.

ამნაირად რაჭის სამღვდელოება ფაქტიურად შეუდგა დღეს თავის მოწოდების საქმის ასრულებას და მზად არის განაქარვოს ის ცრუ აზრი ახალ მოდის ნასწავლთა, რომელნიც ხორცმეტად სთვლიან თანამედროვე სამღვდელოებას.

საჭიროა წიგნაკების და სიტყვების განსახილველად და საბეჭდავათ მთელი სამღვდელოებისათვის დაარსდეს ერთი კომისია, რომელიც განიხილავს სამაზრო კომისიების ნამოქმედარს და შემდეგ გამოსცემს ან გაზეთით და ან ცალკე წიგნებად. ეს შეერთებული ძალა აუცილებელი საჭიროა საქმის მტკიცე ნიადაგზე დაყენებისათვის. ამ აზრით გამსჭვალული რაჭის სამღვდელოება, როგორც ერთ უღელ-ქვეშ მყოფი, თანაგრძნობის ხელს უწვდის შორაპნის სამღვდელოებას იმ იმედით და რწმენით, რომ მისთვისაც სასიამოვნო იქნება ერთად მოქმედება ამ დროის შესაფერ საქმეში.

ღარიბ სასულიერო წოდების პირთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების დაარსების გამო იმერეთის ეპარქიაში.

ორი წლის წინეთ შემთხვევით სოფელს სვირში ვიყავი, ერთ გორაკზე გავიხედე და დავინახე რუსეთის, ესრეთ წოდებული, ქარის წისქვილი. გამიკვირდა. მაშინვე ვიფიქრე და ვიკითხე, რომ ეს წისქვილი უთუოდ ვინმე დროებითად რუსეთში ნამყოფ კაცისაგან არის გაკეთებულიმეთქი. არ მოვსტყუვდი. მითხრეს, ეს წისქვილი არის გაკეთებული მამა ს. მ—ძისაგანო. მე დარწმუნებული ვარ ეს წისქვილი რომ ვინმე რუსმა ნახოს იამება და დიდ მადლობას გამოუცხადებს მ. ს. მ—ძეს,—იფიქრებს რუსეთის კულტურას ავრცელებს იმერეთშიო. ჩვენ კი დიდ უცოდინარობად, შეცდომად და სასაცინოდ მიგვაჩნია ქარის წისქვილების კეთება იმერეთში. დიდი ხანია ორიოდე-სამიოდე პირებმა სცადეს და გააკეთეს ქარის წილქვილები, მაგრამ როცა იმერულმა ძლიერმა ქარმა მალეწ-მოლეწა და ყირამალაზე გადააბრუნა ეს წისქვილები მხოლოდ მაშინ მიხვდენ, ეს ბატონები, რომ ბევრი რამ არის რუსეთში, რომელიც ჩვენში სრულებით მოუხერხებელია. რუსეთში მაგალითებრ სოფლის გვერდზე 5—10—20 და ხან მეტი ქარის წისქვილებია და ნელი ნიავით მთელი დღე და ღამე მოძრაობს. ჩვენში-კი ამოვარდება ისეთი ქარი, რომ ხეებს ამტვრევს და ცოტა ხნის შემდეგ ისევ დანწყნარდება. რკინის გზების ზოგიერთ სადგურებზე წყლის ამოსაყვანად სატრიალებელი ბორბლები რკინის ფრთებით გააკეთეს, მაგრამ ისინიც-კი დაამტვრია ქარმა და დალეწა.

ეს ქარის წისქვილი მომაგონა ერთმა წინადადებამ, რომელიც მოახსენა იმერეთის სამღვდელოების კრებას, მ. ს. მ—ძემ წარსულ წელში. სამღვდელოების კრებას წარუდგინა თავისი აზრი ურთიერთ დამხმარე საზოგადოების დაარსებაზე. სამღვდელოების კრებას სთხოვდა, რომ პრინციპიალურად მიეღოთ მისი წინადადება საზოგადოების დაარსებაზე და მერე ჰპირდებოდა წესდების შედგენას. სამღვდელოების დეპუტატების უმეტესმა რიცხვმა მოითხოვა, რომ ჯერეთ გაეცნოთ მისი წესდება და ამ წესდების მიღებაზე შემდეგ ჰქონებოდათ მსჯელობა. ამას იმიტომ თხოვილობდენ დეპუტატები რომ ნამეტნავად მოაბეზრეს თავი ზოგიერთებმა სხვა-და-სხვა უბრალო წესდებათა-პროექტების შედგენისათვის საჩუქრების თხოვნით. ყველამ იცის, რომ კალენდრები და ალმანახები სავსეა სხვა-და-სხვა საზოგადოების წესდებულებათა პროექტებით. დღეს მრავლად იბეჭდება ნორმალური სხვა-და-სხვა წესდებულებანი, ძმობისა, მზრუნველობისა, ემირიტურისა და სხვა-და-სხვაგვარ დამხმარე საზოგადოებათა. გადმოთარგმნიან, გადმოსწერენ ამ პროეკტებს ბ ბოლოს იძახიან: „ცხოვრება შეგვიმოკლა ამ პროეკტის წერამ და დაგვასაჩუქრეთო! ჩვენი სამღვდელოების დეპუტატებიც მზად არიან სანთლის ქარხნის ფულით ყველანი მოიმადლიერონ. როცა განუცხადებენ დეპუტატებს ობლები და საწყლები შაგირდებისათვის სამოწყალოდ დანიშნეთ რამეო, განაცხადებენ: ფულები არა გვაქსო, და საჩუქრებისათვის-კი ბევრი აღმოუჩნდებათ ხოლმე, არა თავის ჯიბის, არამედ სანთლის ქარხნისა. ის კი ავიწყდებათ, რომ სანთლის ქარხნის ფულის გაჩუქება არც კრებას და არც არავის სხვას არ შეუძლია...

მ. ს. მ—ძე დაპირდა სამღვდელოების კრებას და ჟურნალიც ისე იყო დადგენილ, რომ ეს მისგან შედგენილი წესდება რომელიმე ჟურნალში ან გაზეთში უნდა დაბეჭდილიყო ბ საქვეყნოდ გამოცხადებულიყო, რომ ყველას გამოეთქვა თავისი აზრი ამ წესდების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდის არაფერი არ იბეჭდება და სამღვდელოების კრებაც, მე ვგონებ, ბევრს აღარ დაიგვიანებს. ამისთვის საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვა მოვახსენო იმერეთის სამღვდელოებას მამა ს. მ—ძის წინადადების გამო.

რუსეთში მართლა ბევრგან არიან დაარსებულნი ღარიბ სასულიერო წოდების პირთა სხვა-ბ-სხვა საზოგადოებანი. როგორ დახმარებას უწევს ეს საზოგადოება ღარიბ სამღვდელოებას ეს კიდევ კარგად არ არის გამორკვეული. მაგრამ ის რაც რუსეთში მიუცილებელად საჭირო და სასარგებლოა არ შეიძლება გარდაწყვეტით ვსთქვათ, რომ ჩვენშიაც საჭირო და სასარგებლო იქმნეს. რუსეთის მხარეს ქარის წისქვილები დიდ დახმარებას უწევს ხალხს, მაგრამ ეს წისქვილები ჩვენში მოუხერხებელია. ესევე ითქმის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა შესახებაც. რუსეთის სამღვდელოების მდგომარეობა და ჩვენი სამღვდელოებისა სულ სხვა და სხვაა... იქ მღვდელს თავის საკუთარი მიწა-ადგილი, მოსახლობა და ოჯახობა სრულებით არა აქვს, როგორც ჩვენში აქვსთ. მარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალია ბევრს მათგანს საკმაო შემოსავალი აქვს, მაგრამ ხარჯსაც დიდს ეწევა და სახარების სიტყვისამებრ „ხვალისათვის“, შემდეგი დროისათვის არ ზრუნვენ... ამიტომ გარდაცვალების შემდეგ ცოლშვილი, თუ პენსია არ დაუმსახურებიათ, უმოწყალოდ რჩებიან, აღარც ბინა და არც ოჯახობა, რჩება საწყლად და საბრალოდ. ზოგიერთი ახალგაზდა მღვდლის მქვრივი კიდეც თხოვდება და ზოგი ცოტა შემწეობით ღარიბულად ცხოვრებს. ჩვენში სულ სხვაა. ჩვენში ვინც გონებით ჩლუნგი და ზარმაცი არ არის თავის საკუთარი მამული, სახლ-კარი და ოჯახობა აქვს. თავისი ოჯახობის და მამულის წყალობით სცხოვრებენ ზოგიერთი მღვდლები ღარიბი მრევლის მმართველნი. რუსეთში კი მთლად სამღვდელოება სამრევლოის შემოსავლით სცხოვრობს. რუსეთის სამღვდელოებამ ყველამ ჯერ კიდევ არ იცის თუ მღვდელს უფლება აქვს მამულის ყიდვისა. ხშირად საეჭვო კითხვების განმარტებითი განყოფილებაში წაიკითავხთ სხვა საეჭვო კითხვათა შორის: „შეგვატყობინეთ რა სასჯელია დადებული მღვდლებზე ცხენით სიარულისათვისო და შეუძლია თუ არა მღვდელმა ადგილი იყიდოსო?“. ჩვენ შევიტყვეთ, რომ ორიოდე მღვდელი კიდეც დაშტრაფულიყვნენ ცხენით მოგზაურობისათვის...

რომელი ემირიტერა, რომელი საზოგადო დახმარება შეედრება იმ დახმარებას, რომელსაც თავის მამული, თავის საკუთარი ოჯახობა და სახლ-კარობა გაუწევს ეკკლესიის მოსამსახურეთა და მის ცოლშვილთა ქვრივების და დაობლების დროს? ჩვენ დარწმუნებული ვართ, ამ სიტყვების გამო მიგვითითებენ ზოგიერთ ღარიბებზე, რომელთაც არაფერი არ აქვსთ, მაგრამ ასეთი ღარიბები ჩვენში იშვიათია და ზოგიერთები-კი ისე უთავბოლოდ სცხოვრებენ, რომ მიეცით რამდენიც გინდათ შემწეობა ისინი მაინც ღარიბ-ღატაკნი, უბედურნი იქნებიან. განა ცოტა არიან აუარებელი ქონების პატრონები, რომელნიც უკანასკნელ სიღარიბეს ითმენენ?.. ამისთანა პირებს ვერც ერთი დამხმარე საზოგადოება ვერ უშველის.

რასაკვირველია საზოგადოდ გადაწყვეტით არ შეიძლება კაცმა სთქვას, რომ სხვა-და-სხვა დამხმარე და ღარიბთა შემწეობის აღმომჩენი დაწესებულებანი უსარგებლონი იყვნენ. მაგრამ მოსალოდნელი სარგებლობა მაგდენი მაინც-და-მაინც იმდენი არა არის-რა. მართალია ჩვენი სამღვდელოება კარგად არ არის გაცნობილი სხვა და სხვა დამხმარე დაწესებულებათა მოქმედებას, მაგრამ მრავალ ანგარიშებიდან ცხადად ვხედავთ, რომ იმდენი შესამჩნევი სარგებლობა არ მოაქვსთ ამ დაწესებულებათა რამდენსაც სწერენ და რამდენსაც მოელიან. ბევრი იწერება ამ დაწესებულებათა წარმომადგენლების კრებებზე, ზოგიერთების გამჭრიახობასა და დაუღალავ შრომა-მაცადინობაზე გაჭირვებულთა და ღარიბთა საბედნიეროდ, რჩევების და კომიტეტის თავსმჯდომარეებზე და მათ გამოცდილ მდივნებზე, მაგრამ ანგარიშებში ხედავ, რომ შემწეობა მცირე ეძლევათ.

ეხლა მე მინდა მივაქციო სამღვდელოების ყურად-ღება სულ სხვა გარემოებას. გვყავს ჩვენ რიგიანი მოთავე კაცები, რომ ფულები ჩავაბაროთ და ამ ფულების დაკარგვის არ გვეშინოდეს? საეკკლესიო ხაზინადარმა, საზოგადოებაში დიდად პატივცემულად მიღებულმა პირმა თვრამეტი ათასი მანეთი გაგვიქრო ოცი წლის წინად... სანთლის ქარხანაში რომელსაც განაგებდენ დიდათ განათლებულნი პირნი ათი ათას მანეთამდე დაგვიკარგეს. სასწავლებლებში დიდი ხნის ნაბოჭი ერისკაცის შვილებისაგან სწავლის უფლებისათვის მიღებული ფულები გაგვიქარწყლეს!.. ზოგიერთი ეკკლესიებიდან და მონასტრებიდან ნასესხებ და დროებით წაღებულ ფულებს დღესაც ითხოვენ და პასუხის გამცემი აღარა სჩანს... ნიადაგ გესმის, რომ ათასნაირ დაკეტილ კასებში, რომელთა გაღება ეშმაკების-მეტს არ შეუძლია, ფულები ქრება და ველარ პოულობენ!.. გასაოცარი თვალთ-მაქცები გაკვირვებულნი არიან და ვერ მიმხვდარან თუ როგორ ქრება ფულები ამ დაკეტილ კასაში!.. ამისთანა დროს და ამისთანა საზოგადოებაში მ. ს. მ—ე გვირჩევს ვალდებულად გავხადოთ სამღვდელოება, რომ ყოველ წლივ გარდაიხადოს დადებული ფულები და ამ ფულების სარგებლით გვპირდება მქვრივების, ობლების და ღარიბი სამღვდელოების შემწევნობას და სესხს საჭიროების დროს. მამა მ—ეს ავიწყდება ის, რომ სავალდებულო და დაკანონებული გარდასახადი ველარ გარდაუხდიათ, ველარ შემოაქვსთ და და ეხლა კიდევ სხვა გარდასახადს უმატებენ. მაგრამ დიდი იმედი აქვსთ იმისი, რომ ჯამაგირიდან გამოურიცხავენ. მართალია ეხლა „მოდათ“ არის შემოღებული ყოველი გადასახადის ჯამაგირიდან გამორიცხვა. მაგრამ არ მჯერა, რომ ეს ნიადაგ ასე დარჩეს და ბრალი

ანი და უბრალო გადასახადები ეკლესიისა და მღვდლისა ყოველივე ჯამაგირიდან გამოურიცხონ მათ...

იმედს არ ვკარგავთ კიდევ, რომ მ. ს. მ—ძე გააცნობს სამღვდელოებას დაპირებულ პროექტს ურთიერთ დამხმარე საზოგადოებისას და ზოგს მერე მოვახსენებთ სამღვდელოებას.

დეკ. დ. დამბაშიძე.

მიზეზები კაცის მრავალ უბედურებათა.

(ნათარ. ფრიდრიხ კირხნერის წიგნიდან „გზა ბედნიერებისაკენ“)

ყველამ იცის, რომ ძნელად თუ სადმე მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელიც კმაყოფილი იყოს თავისი ბედისა. 75 წლის მოხუცი გიოტეც-კი, რომელიც ბუნებისაგან ყოველ მხრივ უხვად იყო შემკული, ეუბნებოდა ეკკერმანს; „ჩემი სიცოცხლე ისე განვლიე, რო განუწყვეტლივ ოთხი კვირის განმავლობაში არა ვყოფილვარ ბედნიერი“. ზეიდლის ლექსში („ზარები ბედნიერებისა“) გამოყვანილმა კოროლმა შესაძლოდ იცნო ბედნიერების ზარის ჩამორეკა მხოლოდ სიკვდილის წინა წამებში. თუ კარგად დავაკვირდებით და გამოვიძიებთ, შევნიშნავთ შინაგანსა და გარეგანს, სუბიეკტიურსა და ობიეკტიურს მიზეზებს ამ უკმაყოფილებისას.

პირველი ადგილი უჭირავს ამ შემთხვევაში ფიზიკურს, ე. ი. სხეულის ნაკლულევანებას: ავადმყოფობა—სნეულებას, ადამიანის დამღუპველ სხვადასხვა ცუდ ზნესა და სიბერეს. მათ შეუძლიანთ მოგვიშხამონ მთელი საათები, დღეები და მთლად სიცოცხლეც-კი. მიუხედავად ამ გარემოებისა, ჩვენ ვიცით მრავალი მაგალითი, როდესაც დაბრმავებულნიც-კი ბედნიერები ყოფილან. მილტონმა ბრმამ შეჰქმნა „დაკარგული სამოთხე“; აგრეთვე პფეფელმა, თუმცა იგი დაბრმავდა, როდესაც მხოლოდ 22 წლის ყმაწვილი კაცი იყო, არ დაჰკარგა ბუნებრივი სიმხიარულე და მშვენიერი აღმზრდელი (პედაგოგი), შეიქმნა. ზოგიერთები ავად-მყოფობაში ატარებენ მრავალ წლებსა, მაგრამ სასოწარკვეთილებაში კი არა ცვივიან. საქსონიის კურფისტი იოგან ფრიდრიხი, როდესაც დამარცხებულ იქმნა მიულბერგთან, უნდა თან გაჰყოლოდა კარლე V და ხუთი წელი მეთვალყურეთა თვალ ქვეშ გაეტარებინა, მაგრამ მაინც-და-მაინც შეირჩინა დაზავებული ჭკუა-გონება და ჩვეულებრივი გამჭრიახობა. რაც შეეხება სიბერეს ციცერონმა თავის წიგნში „უფროსი კატონი“ მჭერმეტყველურად აღნიშნა მისი უარღესი მხარეები. სიბერე ანთავისუფლებს ადამიანს მრავალ ცუდ ზნისა და ზნეობის დამაქვეითებელი ლტოლვილებისაგან. სიბერე მაღლიდან ღიმილით დასცქერის სიჭაბუკის აღტაცებას და ჰბადებს ჩვენში ისეთ გრძნობას, რომელიც ცხოვრებისაგან არას თხოულობს იმაზედ მეტსა რის მოცემაც მას არ შეუძლიან.

მოზერმა, მისის დაბადებისაგან 70 წლის შესრულებისა-გამო გამართულ სადილზე, სთქვა შემდეგი: „სიბერეში ჰგრძნობ, ვითომც ახვედი მაღალი მთის მწვერვალზე. მაღლიდან ჰხედავ თვალ-წინ გაშლილს ველს წარსულისას და შემდეგ მწვერვალზე აღარას არ ხედავ. მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც მთის მწვერვალზე ჰაერი უფრო წმიდა და ფაქიზია, ისე სიბერეშიაც ჰგრძნობ უწყებულს სულიერ ჰარმონიას. ვნებანი აღარ იშლებიან, სისულელეს აღარ სჩადიხარ (მრავალი მიზეზისა გამო) და ჰგრძნობ სულიერს კმაყოფილებას. მდედრ სქესთანაც სულ სხვა საუკეთესო განწყობილება გაქვს. ზოგჯერ შეგიძლიან ბედნიერად იგრძნო თავი, მაგრამ უბედურად-კი არასოდეს. უწინარეს ყოვლისა დიდ მნიშვნელობას იძენს ცხოვრების სიბრძნე ⁄ გამოცდილება, (განსაკუთრებით საკუთარი სხეულის შესახებ), რომელიც თანდა-თან ძლიერდება და მატულობს“. შესანიშნავი მწერალი თავის სიტყვას შემდეგის რჩევით აბოლავებს: „იყავით ნიადაგ ზომიერნი და მტკიცენიო“.

რა თქმა უნდა, უმრავლესობას ხელს არ უწყობს სოციალური (საზოგადოებრივი) პირობები. უმრავლესობა მოკლებულია საკმაო ქონებრივ შეძლებას; ბევრნი შემავიწროებელის ოპეკის, დამოკიდებულების ქვეშ იმყოფებიან. მცირე არ არის აგრეთვე რიცხვი ისეთ პირობებში მცხოვრებთა, რომელნიც (პირობები) არ შეეფერებიან არც მათ ნიჭიერებას და არც ღვაწლსა—ნამსახურობას. ყველა ამათ ნუგეში იმაში უნდა ჰპოვონ, რომ ძალიერ ბევრი თანა მოძმე ჰყავს უბედურობის მხრივ და ბევრში თვითონვე არიან დამნაშავენი ან პირდაპირ, ან რისამე საშუალებით. რამდენი საშვალება გაგვიშვია ხელიდან გაგვეუმჯობესებინა ჩვენი მდგომარეობა! რამდენჯერ

წაგვიყვანია ჩვენი საქმე ცუდად! რამდენჯერ დამსხვრეულა ჩვენი საუკეთესო მისწრაფებანი ჩვენივე მოუფიქრებლობისა, სიზარმაცისა და ხასიათის სისუსტის გამო! რამდენიმე ნუგეში შეუძლიან მოგვცეს იმ მოსაზრებამ, რომ მთელი ქვეყანა უბედურობით სავსეა და ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ შეუძლებელია ყველასთვის კმასაყოფელი ბედნიერი ცხოვრება მოეწყოს. მისწრაფება კაცობრიობის გულშემატკივართა—მიენიჭოს ყველას ბედნიერება საზოგადოების გარდაქმნის საშუალებით—ძველის დროიდანვე მომდინარია. პლატონი («რესპუბლიკაში»), კამპანელლა („სახელმწიფო-მზისაში"), მორი („უტოპიებში"), ბელლამი (რომანში „ასის წლის შემდეგ») და მრავალი სხვანი ფიქრობენ მოაწყონ საყოველთაო ბედნიერება სოციალურ პირობების შეცვლითა.

უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ზნეობრივ ნაკლთა: იგინი აშფოთებენ და აღელვებენ ადამიანის გრძნობა-გონებას. ყველას ექნება ხოლმე შემთხვევა უკმაყოფილება იგრძნოს დ გაჰკიცხოს თავისი-თავი სხვა-და-სხვა შეცდომათათვის. ხშირად ისე მოვიქცევით ხოლმე, როგორც არა ჯერარს და უყურადღებოდ ვსტოვებთ ისეთ საქმეს, რომელიც უნდა შეგვესრულებინა. ამის გამო ჩვენ ვგრძნობთ სინდისის ქენჯნას, უკმაყოფილებას, თავს საყვედურს ვაძლევთ, თუმცა, თუ ჯეროვანად დავაკვირდებით, ჩვენ არ შეგვეძლო სხვაგვარად მოვქცეულიყავით და იქნება შემდეგშიაც ძველებურადვე მოვიქცეთ. აგრეთვე სხვების ნაკლულევანება აშფოთებს ჩვენს სულსა და გულსა, ეს ნაკლულევანება ჩვენი მეგობრებისა იქნება, ნაცნობებისა, ნათესავებისა თუ მოწაფეებისა. დასასრულ, გონება გახსნილი და განვითარებული ადამიანი, რომელსაც აქვს უმაღლესი ინტერესები, თავს განაწყენებულად ჰგრძნობს სხვათა სისუსტისა, ბიწიერებისა და უზნეობისა გამო.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ადამიანის ბუნებაშივე არსებულს, სუბიექტიურს მიზეზებს საყოველთაო უკმაყოფილებისას: უწინარეს ყოვლისა—შეუგნებლობას. ადამიანი საზოგადოდ ისე საკმარისად ვერ იცნობს პირობებს ცხოვრებისას, რომ შეუცდომლად დააფასოს საკუთარი მდგომარეობა და თავისი უფლება ჯილდოს მიღებისა.

თქმა არ უნდა, რო მუშაკი ღირსია სიყვარულისა; მაგრამ სხვა-და-სხვა მოღვაწე ერთსა და იმავე სასყიდლის, ჯილდოს ღირსნი არ არიან. ისეთი პირები, როგორც, მაგ., რაფაელი, ლიუტერი, შილლერი, ბისმარკი და სხვები ამგვარნი უფრო მეტის ჯილდოს ღირსნი არიან, ვიდრე საუკეთესო დღიური მუშა და ამიტომაც დიდი უსამართლობა იქნება ყველას ერთგვარი სასყიდელი ეძლეოდეს, როგორც ამას თხოულობენ ზოგიერთები.

გონებით ბრმა ადამიანს ვერ შეუგნია აუცილებლობა ფიზიკურ და სოციალურ უბედურებათა და ოცნებობს პოეტებთან ერთად ოქროს ხანაზე (ეპოქაზე). მაგრამ ეს უბედურებანი, თავისის არსით, მეტაფიზიკურის ხასიათისანი არიან, ე. ი., ადამიანის ბუნების წყობილებასთან მჭიდროთ (განუყრელად) შეკავშირებულნი. სოკრატივე აღიარებდა, რომ სიამოვნება უმთავრესად ტანჯვის მოსპობისაგან წარმოსდგებაო. ადამიანს ხშირად ავიწყდება, რომ იგი დაბადებულა მხოლოდ შვებისა და სიამოვნებისთვის კი არა, არამედ თავისს მოვალეობათა აღსასრულებლად და ბედნიერების მოსაპოვებლად ამ მოვალეობათა აღსრულების ნიადაგზე.

ბევრი პესიმისტი მხოლოდ ილიუზიად აღიარებს, ე. ი., წარმოდგენილობით (გამოხატულებით) ნიჭის ნაყოფად სთვლის პატივსა, დიდებას, სიყვარულსა, ძლიერებას და სხვ. მაგრამ თუნდაც რო ესეც იყოს, (თუმცა ყოველივე თვით-მოქმედება რეალურია), ვანა ეს სიკეთენი ამ გარემოებისა გამო ჰკარგვენ ძალასა და მნიშვნელობას? განა ლურჯი ცა ანუ ცისარტყელა ნაკლებ სიამოვნებას ჰბადებს ჩვენში, ნაკლებ გვახარებს, რო ისინი ნაყოფია ჩვენის მხედველობისა და მზის სხივებისა, ე. ი. ილიუზიაა? ანდა, განა ნაკლებს სიამოვნებას ვგრძნობთ ჰომერის და ნიბელუნგების კითხვით, თუ წარმოგვიდგენია, რომ აქილლესი, ოდისეი, ზიგფრიდი და ბრუნეგილდა არ არსებულან ნამდვილად?

დასასრულ, გონების განუვითარებლობაც შეიძლება შეიქმნეს მიზეზად უკმაყოფილებისა, რამდენადაც მეცნიერება და ხელოვნება ასეთ ადამიანთათვის არ შეადგენს წყაროს ბედნიერებისას.

სპინოზა და მილტონი სულ სხვა აზრისანი იყვნენ. ყოველ გარეშე სიამოვნებას მოკლებულებმა, მათ სრული კმაყოფილება და ბედნიერება იპოვეს: ერთმა ფილოსოფიის კითხვების კვლევა-ძიებაში მეორემ-კი—პოეზიაში.

ასეთივე აზრისანი ყოფილან მრავალნი ფილოსოფოსნი, მწერალნი და ხელოვნების კაცნი. ისინი

ეძებდენ და პოულობდნენ ბედნიერებას გარეგან სიკეთე-სიამეთა ძიებაში კი არა, ე. ი. ძლიერებასა, ბატონობასა და სიმდიდრეში კი არა, არამედ თავის შინაგანს არსებაში, საკუთარი გონების ვარჯიშობა-მუშაობაში, ან და დიდ ბუნებოვან ადამიანთა ჭკუა-გონების ნაწარმოებში.

ზოგი მეცნიერი სავრებით გატაცებულია თავისი შრომით, სრულიად არ საჭიროებს ადამიანთა საზოგადოებას და სოფლიურ შვება-ლხენა-სიამოვნებას. ათასობით მეუდაბნოებიც ბედნიერებას პოულობდნენ მარტოობაში, ბუნების ჭვრეტით გატაცებულ-გამსჭვალულნი.

ბევრს აქვს შეთვისებული ისეთი ჩვეულება, რომ ნიადაგ ადარებს თავისს თავს სხვებსა. იმის მაგიერ, რომ დაკმაყოფილდეს თავისი მდგომარეობით და გაიხაროს იმითი, რაც აბადია, ბევრი იტანჯება შურითა: სხვისი სიმდიდრე, სხვისი უაღრესი მდგომარეობა წყაროა მისის სულის შფოთვა-ღელვისა. ყველა, ვინც სხვის ქურქში ყოფილა, მოინდომებს თავისს ქერქშივე დაბრუნებას. ეს აზრი მშვენივრათ გაატარა შამისსომ ლექსში: „ამოარჩევა ჯვრისა". უკმაყოფილო თავისი სვე-ბედით, ადამიანი ანგელოზმა შეიყვანა ერთ ტაძარში, სადაც შეკრებილი იყო ყველა ჯვრები ამა ქვეყნისა. ადამიანმა არჩია, არჩია, რომ ეპოვა საადვილოდ სატარებელი ჯვარი. ბოლოს როგორც იყო ამოარჩია ერთი, რომელიც სხვაზედ უკეთესი ეჩვენა. მაგრამ ეს ის ჯვარი აღმოჩნდა, რომელიც მას უკვე უტარებია.

მრავალთა უბედურების მიზეზი არის წასაკითხი წიგნების ამორჩევა. ზოგნი დღეში თითო რომანს ათავებენ, ისეთ რომანს, რომელშიაც ცხოვრება გადამახინჯებულად არის დახატულ-დასურათებული; ისინი ჰქმნიან მხოლოდ მოზმანებულს და არა ნამდვილად არსებულს სურათს ადამიანის ცხოვრებისას. მათის აზრით ადამიანები ორ ჯგუფად (დასად, კათეგორიად) განიყოფებიან: ჯგუფი ბოროტთა და ჯგუფი კეთილთა. იმათა ჰგონიათ ცხოვრება ისე მიმდინარეობს, როგორც რომანებშია აღნიშნულიო. ზოგიერთები ისეთს შეცდომებში ვარდებიან, რომელნიც ფანტაზიის (წარმოდგენილობითი ნიჭის) თვისებას შეადგენს—მათი ცხოვრება გამოიხატება ან სამირმისო იმედებში, ან წარსულის შესახებ ფიქრებში და ამნაირად ხელიდან ჰკარგავენ აწმყოსა. ხანში შესული ადამიანები ფიქრობენ იმის შესახებ, რაც უკვე წინედ მომხდარა, ყამაწვილ-კაცობა კიდე —რაც, მათის აზრით, მათ მოელის. ერთნიცა და მეორენიც ემსგავსებიან ტილლე ეილენ შპიგელსა, რომელიც, როდესაც ერთის მთიდან ჯერეთ მხოლოდ ჩამოდიოდა, იმასა დარდობდა, რომ შემდეგს მთაზე ასვლა დამჭირდებაო. ამის გამო ასეთი ადამიანების სულიერი მდგომარეობა მარტის დღესავით იცვლება: მათ ხან მელანხოლია აწუხებს და ხან ოცნებობა, ხან სულ დარდიანები არიან და ხან მხიარულები.

არიან ისეთი ადამიანებიც, რომელთა უბედურებაც ნების ნაკლთაგან გამომდინარეობს. ზოგიერთებს ნება სუსტად აქვთ განვითარებული; ასეთი ადამიანები ისე ძლიერ ზარმაცნი და უძრავის ხასიათისანი არიან, რომ არ შეუძლიანთ ხელი მოჰკიდონ რაიმე სერიოზულ საქმესა. ზოგის ნებას ცუდი მიმართულება მიუღია; ასეთმა ადამიანებმა არ იციან ალაგმვა თავის ცუდი მიდრეკილებებისა და ნებას აძლევენ ვნების განვითარებას. ზოგს ნება გაუწრთვნელი აქვს, ე. ი. მას არ შეუმუშავებია არავითარი ძალა-გავლენა თავისს მოქმედებაზე: ადამიანი ყურმოჭრილი ყმაა თავისს ვნებისა, სურვილებისა და ეფფექტებისა. რამდენ უბედურების წყაროდ ხდება სიმძულვარე, შური, თავ-მოყვარეობა, მთავრობის მოყვარეობა, პატივ-მოყვარეობა, ბრაზიანობა!

დასასრულ, მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ნაკლი ხასიათისა. მრავალნი, უმთავრესად ქალნი, ძალიან გრძნობიარენი არიან: მათ გარშემო მყოფი ადამიანები და საგნები და სულ მცირე უსიამოვნო შემთხვევები უკარგავენ მათ სულიერ კმაყოფილებას, აშფოთებენ და აბრაზებენ მათ. სანტიმენტალურს ადამიანს მის გარშემო მყოფი ადამიანები ან სულ ეშმაკებათ ეჩვენებიან, და ან ანგელოზებად. ადამიანი, რომელსაც ასეთი შემცდარი აზრი შეუდგენია, ხშირად მიზანთროპი ხდება: მას სძაგს, სძულს საზოგადოდ ადამიანი. იგი სჩივის: ადამიანები სიკეთის დაუნახავები არიანო, რადგანაც თვითონ უსაფუძვლოდ ელოდა მადლობასა; იგი ფიქრობს: ადამიანები მე მატყუებენო; ნამდვილად-კი მას მათზე ყალბი აზრი შეუდგენია. ბევრნი უბედურები არიან იმიტომ, რომ ძრიელ თავ-მოყვარეები, (ეგოისტები) არიან. ისინი ვერა პოულობენ ვერც მეგობრობას, ვერც სიყვარულსა, რადგანაც თვითონ ისეთის ბუნებისანი არიან, რო არ შეუძლიანთ ვინმე უყვარდეთ და ან

ვისმეს შეაყვარონ თავი. ვინც ნიადაგ ზრუნავს სხვებისათვის, ეს სხვები თავისი ოჯახობა იქნება, ღარიბ-ღატაკები, თუ სენით შეპყრობილნი, იგი პოულობს დაუშრომელს წყაროს სულიერის კმაყოფილებისას.

ზოგიერთების უბედურების მიზეზი არის მათი ტემპერამენტი. სანგვინიკი,—რომელსაც ადვილად გაიტაცებს რაიმე გრძნობა, რომელსაც ადვილად აუღელდება გული, მაგრამ ადვილადვე უგრილდება, რომელიც ყოველ საქმეს სჭიდებს ხელსა, მაგრამ დაწყებულ საქმეს ისევ ადვილადვე ანებებს თავსა,—თავს უკმაყოფილოდ, განაწყენებულად გრძნობს. მელანხოლიკი, რომლის წარმოდგენითაც ცხოვრება შავი ბურუსით არის მოცული, ხშირად გრძნობს თავს მარტოდ, უმეგობროდ დარჩენილს. ფლეგმატიკი—უძრავი გონების პატრონი, რომელსაც ეზარება აზროვნება, მოსაქმეობა და ლაპარაკიც კი ხასიათის სიმხიარულეს მოკლებულია. დასასრულ, ხოლერიკი, რომელსაც ადეილად და ღრმად მგრძნობიარე ბუნება აქვს და რომელზედაც ყოველი შთაბეჭდილება ღრმა და ძლიერს კვალს (დაღს) სტოვებს ცხოვრებაში მრავალ უსიამოვნებას გრძნობს. საბედნიეროთ არც ერთს ადამიანს არა აქვს საკუთრივ, ხალასი, ერთი რომელიმე ტემპერამენტი; ყოველ ადამიანში ტემპერამენტები შერეულები არიან და ამაზედ არის დამოკიდებული ხარისხი რომელიმე პირის მგრძნობელობისა. ბედნიერია ის, ვისაც ჭკუა, ნება და გრძნობა ჰარმონიულად შეზავებული აქვს. ასეთი ადამიანები თვითონაც ბევრს სიამოვნებას ნახვენ ცხოვრებაში და აგრეთვე ბევრს იღვწიან გარშემყოფების, მოყვსების, მახლობელების და შორეულების სასარგებლოდაც.

სოკრატი, ცეზარი, ლიუტერი, გიოტე (Гёте) წარმოადგენენ ასეთ იდეალურ ტემპერამენტებს. სანგვინიკი ეგმონტი, მელანხოლიკი კლეისტი, ფლეგმატიკი ფრიდრიხ III (1440—1493) და ხოლერიკი ნაპოლეონ I-კი უბედურ ხასიათებს წარმოადგენენ.

ნ. ჯ—ხ.

(შემდეგი იქნება)

ერთი ფრიად სამწუხარო ჩვენი დროის მოვლენა.

შემდეგ დიდი დავიდარაბისა, მრავალის მეცადინეობისა და ტანჯვა-წვალებისა როცა გამოგიცხადებენ: „შენი შვილი მიღებულია სასწავლებელშიო“ შეიქნება ერთი ამბავი შვილის დაბინავების შესახებ. უნდა დაემორჩილო ისევე სასწავლებლების მთავრობის „რეკომენდაციას“. თუ სასწავლებლის მთავრობის „რეკომენდაციას“ არ დაემორჩილე და იმ ბინაზე არ დააყენე შენი შვილი, რომელსაც მასწავლებელი, ინსპეკტორი ან და კიდევ მათზე მეტი გირჩევს, მაშინ საეჭვოც შეიქნება შენი შვილის მიღება სასწავლებელში. ხშირად ამისთანა ნაჩვენები ბინებია მქვრივ ქალთა, რომელთაც კარგა მოზრდილი ქალები ჰყავსთ. ეს დედაკაცები ძლიერ დახელოვნებულნი არიან ყმაწვილ ვაჟთა ბადეში გაბმას და ზოგიერთები მშვენიერად ასწავლიან თავის ქალიშვილებს მოსწავლეების მოხიბლვას. ყმაწვილი მოსწავლენი ძლიერ მალე უმეგობრდებიან ოჯახის პატრონების ქალებს. მეგობრობა იზრდება და იქამდე მიდის, რომ ზოგიერთი სწავლის დამთავრებასაც აღარ უყურებს, გვირგვინის კურთხევას შეუდგებიან და ცოლიანი მიემგზავრებიან რუსეთისაკენ. ამ საცოდავებს სამუდამოდ ეკარგებათ დედმამის სიყვარული და თავის მცბიერი სიმამრი და სიდედრი ჰგონიათ პირველი მათი შემბრალე და მზრუნველი. მათგან აღებული მზითვი ძლივს ყოფნის ერთ წელს და ერთი წლის შემდეგ უკან ბრუნდებიან ორივენი და თან მოჰყავთ ატირებული ბავშვი აკვნით. მართალია მასწავლებელნი კარგ საქმეს უშვებიან თავიანთ მეგობარ მქვრივთა, რომ სასიძოებს კარზე მიაყენებენ, მაგრამ დედმამას-კი საუკუნოდ ღუპავენ. რიგია ამ სამწუხარო მოვლენას ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა დედ-მამებმა და ვისიც რიგია.

მდ. ს. არდიშვილი.

ეპისკოპოსი მარკელი.

(ნეკროლოგი)

უწმიდესი სინოდის წევრი ეპისკოპოსი მარკელი გარდაიცვალა 29 სექტემბერს. ყ-დ სამღვდელო მარკელი დაიბადა 31 დეკემბერს 1825 წელსა გალიციაში ქალაქ გალიჩში. პირველი განათლება ნემცების სასწავლებელში მიიღო, ბოლოს გიმნაზია შეასრულა. შემდეგ გიმნაზიის გათავების ღვთის მეტყველების კურსი მოისმინა ჩერნოვიცის და ბუკოვინის ქალაქის სასწავლებლებში. ბოლოს ღვთის მეტყველების კურს ისმენდა ვენაში. უმაღლესი სწავლის მიღების შემდეგ დანიშნული იყო პედაგოგიურ კურსების მასწავლებლად ლვოვში. 1850 წ. მღვდლად იყო ნაკურთხი. მცირეს ხანში თავი ისახელა სხვა-და-სხვა შესანიშნავი წიგნების გამოცემით. 1866 წელში უცხოეთიდან მოიწოდეს მღვდელი მარკელი რუსეთში და 1866 წელში დეკანოზობა ებოძა ხოლმის კათედრის ტაძარში. 1871 წელში ადმინისტრატორობა ხოლმის ეპარქიაში. (სწორედ ამ დროიდამ იწყება მისი მეცადინობა გალიციის ხალხის ბერძენთ უნიატების შემოერთებაზე მართლმადიდებელ ეკკლესიასთან.

ამ უნიატების შემოერთების შემდეგ მარკელი დაინიშნა დეკანოზობიდან პირ-და-პირ ეპისკოპოსად. ეს პირველი მაგალითია რუსეთში, რომ დეკანოზობიდან ეპისკოპოსობა მიიღო. შემდეგ იყო ეპისკოპოსად პოდოლის ეპარქიაში. 1889 წელს დაინიშნა უწმიდესი სინოდის ნიადაგ წევრად. ეპისკოპოსი მარკელი კარგი შესაყარი კაცი იყო და ყველასთან თავდაბალი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

კორეაშიაც ყველა ომს ელის თურმე. კორეიელები დარწმუნებულნი არიან, რუსეთსა და იაპონიას უსათუოდ ომი მოუვათო, ეგ არის, არ იციან, როდის მოხდება ეს ომი. კორეაში 30 ათასი იაპონელი ცხოვრობს. ესენი უმთავრეს როლს თამაშობენ კორეის ვაჭრობასა და მრეწველობაში. ამათ ყველას ომი სწყურიანთ რუსეთთან. აქაური იაპონელები იმ აზრისანი არიან, რომ იაპონიამ უსათუოდ ომი უნდა გამოუცხადოს რუსეთსაო; ესენი დარწმუნებულნი არიან, რომ იაპონია უსათუოდ დასძლევს რუსეთსაო და რუსებს კორეიდანაც და მანჯურიიდან სამუდამოდ გაჰრეკავსო; ესე თუ არ მოიქცა, კორეიაც ხელიდან წაუვა იაპონიასაო.

ინგლისი ყველაფერში მხარს აძლევს იაპონიას და იმის ინტერესებს ჩინეთსა თუ კორეიაში ბეჯითად იცავს. იაპონიას "შეერთებულ შტატების დახმარების იმედიცა აქვს. გერმანია განზე დგას და არც იაპონიას ეხმარება, არც რუსეთს.

ბევრი იმ აზრისაა, რომ იაპონიასა და რუსეთს უსათუოდ ომი მოუვათო. მაგრამ ბევრი კიდე სულ სხვანაირად უყურებს საქმეს და დარწმუნებულია, რომ რუსეთი და იაპონია მორიგებით გაათავებენ საქმესაო. ფრანგულ გაზ. „ტან"-ი სწერს: იაპონია და რუსეთი უსათუოდ მორიგდებიან, კორეის თაობაზე ახალ ხელ-შეკრულობას დასდებენ და საქმეს ამით გაათავებენო.

ასე იქნება თუ ისე, ორივე სახელმწიფო მაინც მზნედ ემზადება ომისთვის. ჯარიცა და ფლოტიც ორივეს დამზადებული ჰყავს. „რუსკი ინვალიდ"-ში შემდეგი ცნობაა დაბეჭდილი იაპონიის ჯარზე: „მშვიდობიანობის დროს იაპონიას 8,100 ოფიცერი ჰყავს და 133,500 ჯარის-კაცი. ომის დროს იაპონიას შეუძლიან, გამოიყვანოს—10,750 ოფიცერი და 348 ათასი ჯარის კაცი; იაპონიას სათადარიგო ჯარიცა ჰყავს: 2,800 ოფიცერი და 265 ათასი ჯარის-კაცი; ამას გარდა, კიდევ 50 ათასი სათადარიგო ახალი ჯარის-კაცის (რეკრუტი) ჰყავს".

ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ იაპონიის ჯარი და ფლოტი ღირსებით არც ერთ სახელმწიფოს ჯარსა და ფლოტს არ დაუვარდება. იაპონიის ჯარმა ჯერ 1894 წელს ომის დროს ჩინეთში ისახელა თავი და მერე კიდევ 1900 წელს იმავ ჩინეთში ყველა მოკავშირენი გააკვირვა: იაპონელები სწრაფად მივიდენ პეკინში, ყოჩაღად იბრძოდნენ, დისციპლინას მშვენივრად იცავდნენ და დამარცხებულებსაც კაცურადა და ლმობიერად ექცეოდნენ. იაპონიის ჯარი კარგადაა შეიარაღებული და ტანსაცმელიც კარგი აქვს. ერთის სიტყვით, იაპონია კარგად დაუხვდება და საკადრისს პასუხს გასცემს ყოველ დიდ სახელმწიფოს.

***

მთელი რუსეთი ჩივის, ცოტაა სასწავლებლები და ნახევარსაც არ ჰყოფნის ის რიცხვი დაბალ, შუა-

თანა ან და მაღალ სასწავლებლებისა, რომელიც დღეს ჩვენში არსებობსო. მართალიც არის ეს ჩვენი. მოსკოვის ზოგიერთ გიმნაზიაში ძლივს ნახევარი მიიღეს მსურველებისა. იმ გიმნაზიებში, საცა პარალელი კლასებიც არის, უარი უთხრეს მსურველთა ერთს მეოთხედს. მოსკოვის უნივერსიტეტს მრავალი მსურველი მიაწყდა, მაგრამ ყველა ფაკულტეტი ისე გაივსო, რომ მრავალს უარი ეთქვა. ხარკოვის 4 გიმნაზიაში შევიდა 900 თხოვნა, ვაკანსიები-კი იყო 300 ზედ ნაკლები. ხარკოვის ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში თხოვნა შეიტანა 550 კაცმა, ადგილი-კი იყო 255. ტვერის გიმნაზიაში ეგზამენს 114 იჭერდა, მიიღეს 43. რეალურს სასწავლებელში 90 იყო მსურველი შესვლისა, მიიღეს 39. სასულიერო სემინარიაში 32 უთხრეს უარი, კავალერიის სასწავლებელში 200 ს უთხრეს უარი, ნიჟნი-ნოვგოროდში ყოველ წელს რჩება მიუღებელი 100 მსურველი. პეტერბურგიც-კი, ეს სამეფო ქალაქი, ასეთსავე მდგომარეობაშია, თუმცა დიდი შემოსავალი-კი აქვს. ელეკტრო-ტეხნიკის ინსტიტუტში 700 თხოვნა შევიდა, ვაკანსია-კი იყო 100; ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში—1,275, ვაკანსია—240; საზღვაო საინჟინერო სასწავლებელში 140, ვაკანსია 55: ხელოვნებათა აკადემიაში—250 თხოვნა მოვიდა, ვაკანსია კი იყო 61. ეს ადგილებიც დაიჭირეს იმათ, ვინც კურსი გაათავა საშუალო სახელოსნო სასწავლებელში. სხვებს დარჩა მხოლოდ 20 თავისუფალი ადგილი. დაბალ კლასებშიაც არ იყო ადგილი და უარი ეთქვა წელს 1,627 ბავშვს.

რუსეთისთვის პირველი საზრუნავი საქმეა განათლება, სწავლა-განათლების გავრცელება. მილიონები და მილიარდები იხარჯება ათას სხვა საქმისათვის, მაშინ როდესაც ეგ მილიონები და მილიარდები სწავლა-განათლებასთვის უნდა იხარჯებოდეს, იმიტომ რომ უსწავლელი, გაუნათლებელი ერი ვერას ვერ მოახერხებს, ვერას ვერ გააკეთებს. სხვა ყოველივე ხარჯი უამისოდ ამაო და ფუჭი იქნება, სასურველს ნაყოფს ვერ გამოიღებს. თვითონ რუსნი ამბობენ, რომ ყოვლად უმეცარნი ვართო. ჩვენი უმთავრესი სატკივარი ჩვენი სიღარიბეა და სიღარიბიდან მხოლოდ სწავლა გამოგვიყვანისო.

რუსეთის ქარხნებს და ფაბრიკებს ნასწავლნი ხელმძღვანელნი ძალიან აკლიათ. ას მოხელეში მხოლოდ ხუთსა აქვს უმაღლესი სწავლა მიღებული. დღემდე ახალ ჯარში მთლად ნახევარი უწიგნო და უსწავლელია. ასში მხოლოდ ოცია ამ ჯარის-კაცთა შორის ისეთი, რომელთაც შეღავათი ეძლევათ სკოლაში სწავლისათვის.

რუსნი ამბობენ, ჩვენის წარმატების ურემი ტაატით მიდის წინ, თითქო ტალახშია ჩაფლულიო. გვრცხვენიან, სირცხვილით ვიწვით, როცა სხვა ქვეყნის განათლების სტატისტიკაში ჩავიხედავთ ხოლმე, ასეთი შორი-შორ მანძილია ამ მხრივ რუსეთსა და სხვა ქვეყნებ შორისაო.

ინგლისში ასში 14 სწავლობს, გერმანიაში 15, შეერთ. შტატებში 21, რუსეთში-კი 3. მოსწავლეთა რიცხვის სიმცირით ჩვენ იმ სლავიანებზედაც-კი უკანა ვდგევართ, რომელნიც, დიდი ხანი არ არის, რაც ოსმალეთის მფლობელობაში იყვნენ. სერბიაში სწავლობენ ასში 4, ბულგარიაში—10.

უკან ჩამორჩენა რუსეთისა უფრო ცხადად გამოჩნდება, თუ შედადარებთ ერთმანერთს, რომელი სახელმწიფო რასაცა ჰხარჯავს სწავლა-განათლებისათვის. ერთი მოსწავლე უჯდება ინგლისს 2 მ. 65 კ. გერმანიას—4 მ. 79 კ., საფრანგეთს—5 მ. 56 კ., შეერთებულ შტატებს—6 მ. 79 კ., რუსეთს-კი—38 კაპეიკი.

ცხადია, რომ განათლების გავრცელება უმთავრესი საქმეა ღღეს რუსეთისათვის. ამ საქმეს უნდა შეუდგეს დაუყოვნებლივ სახელმწიფოც, ერობაც, ქალაქის თვით-მმართველობაცა ბ კერძო თაოსნობაც.

ახალი ამბები და შენიშვნები.

სამაგალითო კავშირი მასწავლებელსა და მოწაფეთა შორის.

ამას წინეთ ავადმყოფობის გამო თავი დაანება სამსახურს ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის აღმზრდელმა თავ. ნიკოლოზ თარხნიშვილმა. ათი წელიწადია, რაც ბ-ნი თარხნიშვილი სვინდისიერად და გულ-მოდგინედ აღსრულებდა მოხსენებულ თანამდებობას და ამ ხნის განმავლობაში მან ჭეშმარიტად დაიმსახურა საერთო სიყვარული და ყურადღება. მეტად სამწუხარო ღა საგრძნობელი იყო განსაკუთრებით შეგირდებისათვის ბ-ნ თარხნიშვი-

ლის ასე მოულოდნელად სამსახურის დატოვება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან შეგირდებსა და ყოფილ ამღზრდელს შორის მჭიდროდ გადგმული იყო მეგობრობისა და განუსაზღვრელ სიყვარულის ხიდი. ბ-ნ თარხნიშვილის გამოსათხოვარმა სიტყვამ ბევრი შეგირდი აატირა. ის მამაშვილური დამოკიდულება, ასე მიჰმართა შეგირდებს ბ-ნ თარხნიშვილმა, რომელსაც ასე მტკიცედ აქვს გამდგარი ფესვები ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში შეგირდებსა და მასწავლებელთა შორის, უმთავრესად დამყარებულია თქვენდამი სიყვარულზეო. სიყვარული-კი ის ღვთის ნაბოძები ნიჭია, ის ღვთიურ ნათელი მადლია კაცის გულში ჩაბეჭდილი, რომელიც განსაკუთრებულ ნათელსა ჰფენს კაცობრიობას. სიყვარული ცხოვრებაში ის ძალაა, რომლის შემწეობით უძლეველი საქმეც-კი შესაძლოა იძლიოს. თქვენი მოვალეობაა, ჩემო პაწია მეგობრებო, სწავლა განათლების უშრეტელ წყაროს დაეწაფოთ, ჭეშმარიტების გზა გაიკვლიოთ, უმეცრების ბორკილები შემუსროთ, და ეს ყველა შესაძლოა, როცა თქვენს ნორჩსა და მგრძნობიარე გულში ფართო ადგილი იქმნება დათმობილი იმ ღვთიურ ძალას, რომელსაც საქმისადმი სიყვარულს ეძახიან. ესაა ჩემი უკანასკნელი თხოვნა და ანდერძი, რომელსაც ვტოვებ სათავად-აზნაურო სკოლაშიო. შეგირდების მხრივ გამოსათხოვარის სიტყვით მიჰმართეს თავის საყვარელ აღმზრდელს მერვე კლასის მოწაფე ს. დადიანმა და გ. მაჩაბელმა, რომელთაც გულწრფელი და ჭეშმარიტი მწუხარება გამოაცხადეს თავ. ნ. თარხნიშვილის ასე მოულოდნელად სამსახურის დატოვების გამო. შეგირდები ნიშნად ღრმა პატივისცემისა აპირობენ საჩუქარი მიართვან თავ. ნ. თარხნიშვილს.

*** მთავარ-მართებლის ბრძანებით, გამოიცა ახალი წესები იმ თავად-აზნაურთა საყურადღებოდ, რომელნიც სახელმწიფო ხარჯზე აძლევენ შვილებს კავკავისა და შიდა-რუსეთის სხვა კადეტთა კორპუსებში, თხოვნები შვილების მიღებაზე იმ თავად-აზნაურთ, რომელნიც მსახურებენ ან მსახურებდნენ უნდა გამოუგზავნონ საოლქო შტაბის მეოხებით მთავარმართებელს. იმ თავად-აზნაურთ-კი, რომელნიც არა მსახურებენ ან მსახურებდნენ, უნდა თხოვნები გადასცენ ადგილობრივ გუბერნატორებს უსათუოდ 1 სექტემბრიდან 1 თებერვლამდე. სხვა დროს მიღებულ თხოვნებს უყურადღებოდ დასტოვებენ. ამ თავად-აზნაურთა თხოვნებს თან შემდეგი ქაღალდები უნდა ახლდეს: 1. დაბადებისა და მონათვლის მოწმობა: 2. დეპუტატთა საკრებულოს მოწმობა; 3 პოლიციის მოწმობა მთხოვნელის ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობის შესახებ. ამ მოწმობაში დაწვრილებით აღნიშნული უნდა იყოს რამდენი წევრი ჰყავს ოჯახს, ვინ ინახავს, სად სწავლობენ ბავშვები და სხვა; 4. ექიმის მოწმობა ჯანმრთელობისა და ყვავილის აცრის შესახებ; 5. ხელწერილი მთხოვნელისა იმის შესახებ, რომ ბავშვს წაიყვანს უკანვე კორპუსიდან, თუ სასწავლებლის მთავრობამ მოითხოვა ესა. მთხოვნელმა უნდა აცნობოს აგრეთვე, სად სწავლობდა ბავშვი და რომელ კლასში უნდა, რომ მიიღონ. ამასთან მოსამზადებელ კლასში იღებენ მხოლოდ იმათ ვინც რუსულად იცის კითხვა, წიგნიდან დაბეჭდილის გადაწერა და უსაჭიროესი ლოცვები.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა, ხაშურსა და ყვირილას შორის მეორე ლიანდაგი გამართოს. სულ ამ საქმეს დასჭირდება 6,280,000 მანეთი. გაისისთვის უნდა გადაიდოს მხოლოდ 500,000 მანეთი.

*** დარკვეთიდან საჩხერემდე რკინის გზის ვიწრო ლიანდაგის გაკეთება უკვე დასრულდა და მატარებელთა მიმოსვლა დაიწყეს. სადგურ საჩხერეს ხიდთან აკეთებენ.

*** „ტიფ. ლის.“-ს ქუთაისიდან სწერენ: „27 სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე სათავად-აზნაურო საკრებულოს დეპუტატად ნამყოფის კონსტანტინე დავითისძის მაჭავარიანისა, რომელსაც ყალბი-მოწმობის შედგენა ჰბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო მაჭავარიანი და გადაუწყვიტა ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და ერთის წლით ტუსაღთა როტაში გაგზავნა“.

*** როგორც ამბობენ, აქამდე სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო შეჩერებული ყოველ კვირეული გაზეთი „კვალი“ იწყებს გამოსვლას 1 ნოემბრიდან.

*** ნოემბრიდან დაიწყებენ საერო განათლების სამინისტროს უმაღლეს, საშუალო და დაბალ სკოლების მასწავლებლების დროებით ჯამაგირის მომატებას. ამ საქმისათვის ფინანსთა სამინისტოს გადაუდვია წელს 600 ათასი მანეთი; მომავალ წლიდან

კი ამავე საქმისათვის საერო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანენ 2, 400 ათას მანეთს. საქალაქო სასწავლებლის საოსტატო სემინარიის და ინსტიტუტის მასწავლებელთ მიემატებათ ჯამაგირის 20%. გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლის მასწავლებელთ, რომელნიც 12 ნორმალურ გაკვეთილში იღებენ 1,500 მანეთს, აგრეთვე მასწავლებელთ, რომელთაც ათ წელიწადზე მეტი არ უმსახურნიათ, მოემატებათ 90 მანეთი. რომელთაც ათიდან 15 წელიწადი უმსახურნიათ — 180 მანეთი; რომელთაც 15-დან 25 წელიწადი — 360 მანეთი. თორმეტ ნორმალურ გაკვეთილს გარდა დამატებით გაკვეთილებისათვის მიეცემათ 60 მ. მაგივრად 70 მანეთი, 50 მაგივრად 60 მ., 48 მ. მაგივრა 55 მ. 36 ნაცვლად 42 მ., 30 ნაცვლად 33 მანეთი. უნივერსიტეტის და უმაღლეს სასწავლებლების პროფესორთ და მასწავლებელთ, რომელნიც ათას მანეთს და ნაკლებს იღებენ, მოემატებათ ჯამაგირის 20%. სასწავლებლის ადმინისტრაციის პირთ, ინსპექციას და აგრეთვე იმათ ვინც პენსიას იღებენ, ჯამაგირი არ იმატებათ.

*** როგორც პეტერბურგის სამასწავლებლო ოლქის მიერ შეკრებილ ცნობებიდანა სჩანს, მთელ ოლქის სოფლებში საყოველთაო სწავლების შემოსაღებად საჭიროა დაარსდეს 4 ათასამდის ერთ კლასიანი სასწავლებელი, რისთვისაც საჭირო იქნება 1,800,000 მანეთი. ამის შესაფერი ორ კლასიან სასწავლებლებისათვის საკმარისი იქნება 250 ათასი მანეთი. თუ ამ სკოლების დაარსება ექვს წელიწადზე განაწილდება, მაშინ საჭიროა ყოველ წლივ 300—350 ათასი მანეთით მეტის გადადება. მასწავლებლების საკმაო რიცხვის მოსამზადებლად უნდა დაარსდეს ორი საოსტატო სემინარია. პეტერბურგის სამასწავლებლო ოლქის ქალაქებში საყოველთაო სწავლებისათვის საჭიროა დაარსდეს 10 სკოლა არხანგელის გუბერნიაში, 55 ვოლოგდისა, 88 — ნიჟეგოროდისა, 6 — ოლონეცისა, 29 — პსკოვისა და 80 პეტერბურგის გუბერნ. ამ ხარჯების დასაფარავად იკმარებს 300 ათასი მანეთი.

*** მილიონერმა მაზურიანმა, რომელიც ამას წინად გარდაიცვალა, უანდერძა მოსკოვის ვაჭართა საზოგადოებას საქველ-მოქმედო საქმეთათვის სამ მილიონ ნახევარი მანეთი.

*** „ივერია“-ში ვკითხულობთ: გარდაიცვალა უწმ. სინოდის კანცელარიის გამგედ ნამყოფი ტაინი სოვეტნიკი ს. ვ. კერსკი, რომელიც ერთ დროს ტფილისის სასულიერო სემინარიის რევიზორად იყო გამოგზავნილი და რომელმაც სეპერატიზმის ბუდედ დასახა ეს სასწავლებელი თავის ანგარიშში.

*** განსვენებული კერსკიმ უკანასკნელად გადმოგვცა: მე თუმცა წინააღმდეგი ვიყავი ქუთაისში სემინარიის გახსნისა, მაგრამ დღეს შევიცვალე აზრი და ამის შემდეგ რაც ჩემით დავაკელი ქუთაისს დღეის შემდეგ შევძენო, მაგრამ რაღას შეძენს აწი.. იმედია სხვა რევიზორები აასრულებენ რაც მან ვერ მოასწრო...

*** უკანასკნელ ხანებში ძლიერ გავრცელდა რუსეთიდან გადასახლება თათრებისა და ებრაელთ.

*** რიაზანის გუბერნიაში დიდი თოვლი მოსულა და ზოგან რკინის გზაზე მიმოსვლა მატარებლებისა შეჩერებულია.

*** ბორის სპ. ესაძეს განუზრახავს გამოსცეს რუსულ ენაზე მისგან შედგენილი კრებული სარწმუნოებრივ-ისტორიული ხასიათისა, რომელსაც სახელად ერქმევა «წმინდა ნინოს ქვეყანა“.

კრებულში მოთავსებული იქმნება, სხვათა შორის შემდეგი წერილები საქართველოს ეკკლესის ისტორიიდან: 1) მიმოხილვა კერპთ-თაყვანის მცემლობისა საქართველოში, ნ. გამრეკელისა, 2) მოკლე აღწერა ქართველთა სარწმუნოებრივის მდგომარეობისა და სხვ. ბარათაშვილისა, 3) ქრისტიანობის დასწყისი საქართველოში ღ წმ. ნინო, მისივე, 4) წმ. ნინოს ვაზის ჯვარის ისტორია, ფურცელაძისა, 5) ფიქრები საქართველოს ძველი ეკკლესიების გამო, რ. ერისთავისა, 6) მდგომარეობა ძველი ეკკლესიების ნანგრევებისა, 7) ხატობა გ. წერეთლისა, 8) ლექსები და პოემები, წმ. ნინოსთვის დაწერილნი, 9) ისტორიულნი აღწერილობანი ქართულ უუძველეს მონასტრებისა, და 10) ცხოვრება საქართველოს ჯვარ-შემოსილის ეკკლესიის წმ. მამათა.

ამ წერილებს გარდა კრებულში დაიბეჭდება გამოკვლევანი პ. იოსელიანისა, დ. ბაქრაძისა, ბერძენოვისა, დ. ყიფიანისა, ალ. ცაგარლისა, ა. ხახანაშვილისა და სხვ.

მთელი გამოცემა დასურათებული იქნება ძველის ეკკლესიების, ფრესკების, ეკკლესიების განძეულობის და სხვ. ნახატებით; კრებულს დაერთვის აგრეთვე ბატონიშვილის ვახუშტის მიერ შედგენილი რუკა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელზედაც აღნიშნული იქნება მონასტრების მდებარეობა და საზღვრები სამიტროპოლიტოებისა.

მთელ გამოცემას შემადგენელი უძღვნის დიდს მთავრინას ნინო გიორგის ასულს.

კრებული გამოვა ნაწილ-ნაწილ, სულ-კი რვა ნაწილად. თითოეული ნაწილი ეღირება 3 მანეთად.

მთელი წმიდა შემოსავალი ბ. ს. ესაძისაგან გადადებულ იქნება ტფილისისა და ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლების შენობების სასარგებლოთ.

*** გზათა მინისტრს ნება მიუცია, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მცირე სადგურებიდგან, სხვათა შორის, სვირსა, წიფასა, სკრასა და ნავთლუღიდგან საქონელი იგზავნებოდეს სხვა-და სხვა ადგილს, და აგრეთვე მიიღონ მოსული საქონელიც.

*** ქუთაისის ოლქის სასამართლოს გაურჩევია საქმე თავად-აზნაურთა დეპუტატად ნაძყოფის კ. დ. მაჭავარიანისა, რომელსაც ყალბი ქაღალდების შედგენა ჰბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო კ. მაჭავარიანი ბ პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადუწყვიტა ერთის წლით; ამასთანავე ღირსებაც უნდა აეყაროს. („ივერია")

*** მკითხველებს ეხსომებათ, რომ 20 ს დეკემბერს 1902 წელს, შუადღისას, შეიარაღებული ყაჩაღები შეუცვივდნენ ფოთის ხაზინას და გაიტაცეს 30,810 მ. 48 კ. ამ საქმის გამო პასუხის გებაში იყვნენ მიცემულნი: გლეხნი: დომენტი კვაჭაძე, ხარლამპე კავჟარაძე, კოწია ჭელიძე და მოქალაქენი: ანტონ ჩხარტიშვილი, ნიკო გუჯაბიძე, გრიგოლ ჩხარტიშვილი, აზ. ისიდორე მახარაძე და თავადი ალექსანდრე მაჭუტაძე. ეს საქმე გაირჩა ქ. ქუთაისში, კავკასიის სამხედრო სასამართლოს განყოფილების მიერ თავმჯდომარეობდა გენერალ-მაიორი ლევაშოვი, ბრალმდებლად პოდ-პოლკოვნიკი ისაევი და მდივნად კოლლეჟსკი სეკრეტარი რაზმაძე. საქმის გარჩევა დაიწყო სამს ოკტომბერს. მოწმედ იყვნენ მოწვეულნი 144 კაცი. სასამართლოში ბრალდებულთ იცავდენ: მახარაძეს, ანტონ ჩხარტიშვილს, კოწია ჭელიძესა და გუგაბიძეს—ნაფიცი ვექილი ‚მოსე ქიქოძე, გრიგოლ ჩხარტიშვილს—ნაფეცი ვექილი გელიაზაროვი, დომენტი კვაჭაძეს და ხარლამპი კავჟარაძეს—ნაფიცი ვექილი ბაღდასაროვი და თავად მაჭუტაძეს—ნაფიცი ვექილი საყვარელიძე და კაპიტანი რაუმპახი.

საქმის გარჩევა დასრულდა 13 ოკდომბერს და მიუსაჯა: კვაჭაძეს სიკვდილით დასჯა, გუჯაბიძეს—უვადოდ მადნებში მუშაობა. დანარჩენნი უდანაშაულოდ სცნო.

*** 1900 წელში ოთხმა ქართველმა მღვდელთ-მთავრებმა ასი წლის შესრულებისთვის საქართველოს რუსეთთან შეერთებისა მოხსენება მიართვეს უწმიდესს სინოდს რომ სასულიერო აკადემიებში კათედრა დაეარსებიათ საქართველოს საეკკლესიო ისტორიის და არხეოლოგიის შესწავლისათვის. უწმიდესმა სინოდმა ამ კითხვის გარდასაწყვეტად დანიშნა კომისია რომელსაც დაევალა გამოეკვლიათ ეს მოხსენება და თავისი აზრი წარედგინა უწმიდესი სინოდისათვის, ამ კომისიის მოხსენება ჩვენ მთლად გვქონდა აღბეჭდილი „მწყემსი-ს ჟურნალში. როგორც მოეხსენებათ მკითხველებს კომისიის აზრი განიყო ორად. ერთი კომისიის წევრი პროფესორი პ-კი ამტკიცებდა მიუცილებლად ხსენებული კათედრის დაარსების საჭიროებას განსაკუთრებით საქართველოს საეკკლესიო ისტორიის შესასწავლებლად, მაგრამ სხვა ხმები კი საჭიროდ ხდიდენ ბერძენთ ბ საზოგადოდ აღმოსავლეთის საეკკლესიო ისტორიის შესასწავლებლად კათედრის დაარსებას და მათ შორის საქართველოს საეკკლესიო ისტორიისასაც. უწმიდესმა სინოდმა უმეტესი ხმით დამტკიცა დაარსება საზოგადო აღმოსავლეთის საეკკლესიო ისტორიის შესასწავლად კათედრის დაარსება და მათ შორის საქართველოს ისტორიისაც. დღეს როგორც ხმებია მიტროპოლიტს ანტონის უბრძანებია რომ მოიყვანონ სისრულეში წინანდელი განჩინება უწმიდესი სინოდისა ამ კითხვის შესახებ.

*** „კავკაზ"-ში შემდეგი დაწვრილებით ცნობებია დაბეჭდილი „14 ოქტომბერს ტფილისი შეაძრუწუნა საზარელმა ამბავმა, რომელიც საჩქაროდ მთელ ქალაქს მოედო. ნაშუადღევის ესე ოთხ საათზე თავადი—მთავარ-მართებელი, დღიურ მუშაობის გათავების შემდეგ, მეუღლესთან ერთად ჩვეულებისამებრ სასეირნოდ გაემართა კოჯრის გზისკენ. უკან დაბრუნებისას, იმ ადგილას, სადაც შოსედან ბოტანიკის ბაღისკენ დიმართი იწყება, დარაჯის სადგომის პირდაპირ, ეტლს ორსავე მხრიდან დაეცა სამი ბოროტ-განზრახველი, ერთმა ხანჯალი დაუშინა თავში თავად გრიგორ სერგეის ძეს, ხოლო ორმა მოიწადინა თავადის ეტლიდან გადმოყვანა, მაგრამ თავადმა ჯოხით მოიგერია. ამ დროს ყაზახი, რომე-

ლიც კუჩერს გვერდით უჯდა, ჩამოხტა ძირს და ბრძოლა დაუწყო ბოროტ-განმზრახველთ, ამით ისარგებლა ეტლმა და მათ ბრწყინვალებასთან ერთად გზას გაუდგა. ბოროტ-განზრახველებმ ტყვიით ფეხში დასჭრეს ყაზახი, ოქრო-ყანისკენ გაიქცნენ და ხევში დაიმალნენ. მაგრამ იმათ ფეხ-და-ფეხ დაედევნენ პოლიციელი, რომელიც ლოლაძის სახლთან იდგა, ლოლაძის შვილი ცხენით და სხვა კერძო კაცნი. მალე ამათ მიეშველნენ ქალაქიდან მისული საპოლიციო დარაჯები და ცხენოსანი ყაზახები. ბოროტ-განზრახველნი ბუჩქნარში მიცვივდნენ, იქ ერთი ბუჩქიდან მეორესთან გადარბოდნენ და თან ისროდნენ. ორსავე მხრიდან ატეხილ სროლის დროს მოჰკლეს ერთი ბოროტ-განზრახველი და დასჭრეს ორი. ერთი სასიკვდილოდ, ხოლო მეორე მძიმედ.

„ვიდრე ყველა ეს მოხდებოდა, თავადი მთავარ-მართებელი მეუღლითურთ სასახლეში მოვიდა, სადაც დაბარებულმა ექიმებმა. ჭრილობანი შეუხვიეს. აღმოჩნდა თავზე სამი ჭრილობა—ორი ქუდიდან და ერთიც სახეზე; ამას გარდა ერთი ჭრილობა ხელზე აღმოაჩნდა. ჭრილობანი, ღვთის მადლით, საშიშნი არ აღმოჩნდა. მის ბრწყინვალებას მხნეობა და მშვიდობიანობა ერთ წუთსაც არ დაუკარგავს და რამწამს ჭრილობა შეუხვიეს, გამოვიდა დარბაზში, სადაც ადგილობრივ საზოგადოების წარმომადგენელნი, კაცნი და ქალნი, ბლომად შეკრებილიყვნენ. აქვე შეიკრიბნენ ადგილობრივი მოხელენი და პროკურატურა სამოსამართლო პალატის პროკურორის მეთაურობით და იქვე გამოძიებას შეუდგნენ.

როგორც შეუტყვიათ, პირველად მთავარ-მართებლის ეტლს ერთი კაცი მიჰვარდნია, შემხტარა ეტლის საფეხურზე და ხანჯალი აუშვერია ჩასარტყმელად, მაგრამ მთავარ-მართებელს აუქნევია ხელი, რომელშიაც ჯოხი სჭერია, და ხანჯალი აუცდენია. მარცხენა ხელი ამდროს დაეჭრა თურემ. სწორედ ამავე დროს ორი სხვა ბოროტ განზრახველიც მისულა და ერთს უკანიდან დაურტყამს თავადისთვის თავში ხანჯალი. პირველს ეთხელ კიდევ მოუსწვრია ხანჯლის მოქნევა და სახეში დაუჭრია მთავარ-მართებელი. კუჩერთან მჯდომ ყაზახს დაუნახავს-რა ეს, ჩამომხტარა და ეტლის საფეხურზე მდგომი ბოროტ-განმზრახველი ძირს ჩამოუგდია, ამ დროს მესამე ბოროტ-განმზრახველს რევოლვერი უსვრია და ყაზახი მძიმედ დაუჭრია. ყოველივე ეს ეყთ წუთში მოხდარა. როდესაც ყაზახს ერთი ბოროტ განზრახველი ეტლისთვის მოუშორებია„ მეეტლეს უსარგებლნია ამით და ეტლი ქალაქისაკენ გამოუქანებია. რევოლვერის ხმა გაუგონია ლოლაძის შვილს, რომელიც ჩაუცმელი გამოვარდნილა და როდესაც ქალაქისკენ მომავალი ეტლი დაუნახავს, მახლობლად მდგომ პოლიციელისათვის რევოლვერი გამოურთმევია. პოლიციელი ტელეფონთან გაუგზავნია, აცნობე ყველაფერი ქალაქშიო, და მერე რევოლვერით გამოსდგომია ბოროტ-განმზრახველთ. ამ დევნის დროს ერთი მოუკლავს, ხოლო ორი ძირს ხევში ბუჩქნარს შეჰფარებია. ცოტა ხანს შემდეგ ასულან ის ცხენოსანი დარაჯები, რომელნიც ცეცხლის მქრობელ რაზმთან არიან, და ორი ბოროტ-განმზრახველნიც მოუკლავთ ხევში.

დაჭრილი ყაზახი თავარ-მართებლის სასახლეში ჩაუყვანიათ. იქვე ჩაუყვანიათ ორი დაჭრილი ბოროტ-განმზრახველი და ჩაუტანიათ მოკლულის გვამი. დაჭრილ ყაზახს უცვნია ბოროტ-განმზრახველნი. ერთი ბოროტ განმზრახველი მთავარ-მართებელსაც უცვნია.

* * 18 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ოზურგეთის მაზრის, სოფ. ჯურუყვეთის ბლაღოჩინ-მღვდლის ტფ. სასულიერო სემინარიაში კურს შესრულებულ პახუმ კიღურაძისა, რომელსაც შტატს გარეშე მყოფ, 60 წლის მოხუც მღვდლის ალექსი ჯაშის მოკვლა ჰბრალდებოდა.

თორმეტი წელი სრულდება რაც ეს საქმეა დაწყებული. ოლქის სასამართლომ, პახუმ კიღურაძე დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ყოველისავე პირად თუ მდგომარეობით მოპოებულ უფლებაუპირატესობის ჩამორთმევა და ტომსკის გუბერნიაში სამუდამოდ გადასახლება. კიღურაძემ საქმე პალატაში გადაიტანა, რომელმაც 18 ოკტომბერს განიხილა ეს საქმე. ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი პ. ო. ოპოჩინინი. პალატამ დამნაშავედ იცნო კიღურაძე, მხოლოდ შესცვალა ოლქის სასამართლოს განაჩენი და ბრალდებულს მიუსაჯა ყოველისავე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და 3 წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

* * ხმებია, რომ ექსარხოსი ნოემბრის დამლევს მოგზრძანდება თბილისშიო.

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო კანონთა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება

კით. ათი წელიწადი, რომ ემსახურო მღვდლად ზედ მიწერილ ეკკლესიაზედ დაეთვლება თუ არა ეს დრო პენსიის მიღებისათვის? ამასთან მღვდელი, რომ გაგზავნილი იყოს უდაბნოში დასას-ჯელად რაიმე შეცდომილებისათვის დაა-ბრკოლებს თუ არა პენსიის დანიშვნას?

მიგ. შტატ გარეშე სამსახურის დრო არ ჩაეთვლება მღვდელს პენსიის მისაღებად. უდაბნოში გაგ-ზავნა პენსიის მიღებას არ მოუშლის. პენსიის სამსახურის დროს დააკლდება მხოლოდ ის როდ რამდენი ხანიც მონასტერში იყო.

კით. მღვდელი დაითხოვეს შტატ გარედ ახალი პენსიის კანონების ჯ დებულების გამოცემამ-დისინ. ეს დათხოვნილი მღვდელი, რომ ისევ მიიღონ სამსახურში თუ ოცდა თუთხმეტი წელიწადი შესრულებული ექმნა მისცემენ თუ არა სრულს პენსიას 300 მანეთს.

მიგ. მისცემენ.

კით. სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად მსახურება დაეთვლება თუ არა პენსიის მიღე-ბისათვის თუ მღვდლათ ეკურთხა?

მიგ. რასაკვირველია დაეთვლება და ყოველი ხუთი წლის მასწავლებლად მსახურება დაეთვლება შვიდ წლად ეპარქიის უწყებაში.

კით. ვინმე იყო მიშვებული შტატის პრიჩეტნიკის თანამდებობის აღმასრულებელად, ათი-თუთ-ხმეტი წლის შემდეგ მღვდლად ეკურთხა და ოცი წელიწადი ემსახურა მღვდლობაში. ჩაე-თვლება თუ არა პრიჩეტნიკ ის თანამდებობის აღსრულების დრო პენსიის მიღებისათვის?

მიგ. თუ შტატის ადგილზე მსახურებდა თუ გინდა დამტკიცებულიც არ ყოფილიყოს მაინც, შტა-ტის თანამდებობას აღსრულებად ჩაეთვლება ეს დრო სამსახურისა პენსიის მიღებისათვის.

კით. როგორ უნდა მოიხსენოს მღვდელმა გარდაც-ვალებული, რომელსაც თავის სიცოცხლეში უწოდებდენ ერთ სახელს, მაგრამ მეტრიკაში ნათვლობის სახლი სულ სხვა არის.

მიგ. რიგი და კანონიერია იმ სახელით მოიხსენონ, რომელიც ნათლობის დროს ეწოდა, რადგან ეკკლესიის წევრად მეტრიკაში დაწერილი სახე-ლით ირიცხებოდა და არა გადარქმეული-გა-მოგონილი სახელით.

კით. ეკკლესია გადააკეთეს, მაგრამ ტრაპეზი დარჩა შეურყეველი და ხელ-უხლებელი. ამისთანა ეკკლესიას სრული კურთხევა უნდა თუ არა?

მიგ. თუ ტრაპეზი ხელ-შეუხლებელია ჯ შეურყეველ-ლი მაშინ სრული კურთხევა არ არის საჭირო.

კით. სოფელში არის ძველი სასაფლაო, მაგრამ დღეს ამ სასაფლაოზე არავინ იმარხება. შეიძლება თუ არა, რომ ეს სასაფლაო მოხნას კრებულმა და სტაროსტამ და რაც მოვა ის მრევლის სამზრუნველოს დაახმაროს?

მიგ. არ შეიძლება, რადგან სენატის ტანჩინებით ძველი სასაფლაოს დახვნა და ზედ რამეს დათესვა აკრძალულია, ძველი საფლავები ხელ-შეუხლე-ბლად უნდა დარჩენ.

კით. მოდიან ხოლმე და შეწირულებას თხოულობენ ათონის მთაში არსებული სხვა-და-სხვა მონას-ტრებისათვის. რიგია თუ არა ამ შეწირულებათა შემკრებლებს მისცეს რამე კაცმა?

მიგ. ამას წინეთ არა ერთხელ, არამედ მრავალ-გზის გამოცხადებული იყო ოფიციალურ უწმიდესი სინოდის ორგანოში, რომ შეწირულება არ მიეცათ ისეთი პირებისათვის, რომელნიც ნაც-ნობი და ნაჩვენები არ იყვნენ უწმიდესი სინო-დისაგან. არიან ზოგიერთი მონასტრები ათონის მთაზე რომელთა წინამძღვარნი კეთილ-საიმედო ფულის შემკრებელ პირებათ არ არიან ცნობი-ლნი. მართალია შეწირულებას როცა აძლევ კაცი არ უნდა თხოვილობდე შეწირულებაზე ანგარიშს, მაგრამ დღეს დრო შეიცვალა და დროისამებრ უნდა მოიქცეს შეწირულების მიმცემიც. მრავალნი არიან დღეს შეწირულე-ბის შემკრებნი ვითომ მონასტრებისა და მონა-სტრის ძმათათვის, მაგრამ ამ შეწირული ფუ-ლებიდამ არც მონასტერს და არც მათ ძმათა არაფერი არ ერგება ხოლმე.

განცხადებანი.

ყველას საყურადღებოდ.

ძლიერ სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ ეხლანდელ დროში იშვიათად შეხვდებით წიგნთსაცავებს, რომელნიც საკმისიოდ მიღებული წიგნების ანგარიშს იძლეოდენ რიგიანად. ხშირად წიგნების გამომცემლები 20% და 30% უთმობენ თითო მანეთზე, მაგრამ ზოგიერთებისაგან გასყიდული წიგნების ფასიდან სულაც ვეღარას იღებენ. საჩივრის გამართვა ამისთანა წიგნთსაცავების პატრონებთან მოუხერხებელია ხოლმე. გვიკვირს, რომ წიგნების მყიდველები თვითონ ავტორების და გამომცემლებისაგან არ იბარებენ წიგნებს, როცა მათ ერთად ათი და მეტი ცალი სურსთ მოიპოვონ. გამომცემლები მათ დაუკლებენ თითო მანეთზე 20% და ნუ თუ ეს მათთვის სასარგებლო არ არის? ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ვინც პირდაპირ ჩვენიდან გამოიწერს წიგნებს არა ნაკლებ ერთი ათი ცალისა ან ათი მანეთისა ყოველთვის 20 პროც. დაეთმობა მანეთზე და თუ რკინის გზით შეიძლება გაგზავნა მაშინ გასაგზავნსაც არ იხდიან,—უფასოდ გაეგზავნებათ.

ამასთან ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ჩვენი გამოცემები ყველას შეუძლია მოიპოვონ ქუთაისში წიგნის მკაზმელ მეიერ მინოვიჩთან, რომლის სახელოსნო არის დიდი გიმნაზიის პირდაპირ; ტფილისში წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთსაცავში; ყვირილაში ვაჭარ იორდანე ცერცვაძის მაღაზიაში და ჟურნალის, მწყემსის რედაქციაში და სტამბაში.

ქუთაითურ ხელის მომწერლებს ჟურნალები შეუძლიათ მიიღონ ზემოხსენებულ მეიერ მინოვიჩიდან და აქვე ყველას შეუძლია მიიღოს ყოველ გვარ მოწმობათა ბლანკთა და ჟურნალითა.

ჩვენ რედაქციაში დღეს იმექონება აგრეთვე ზოგიერთების თხოვნისამებრ სლავიანურ ენაზე პატარა ტანის ტრაპეზის სახარებანი, „მოლებნის“ წიგნები, ჟავნები და დავითნები.

რედ. დეკ. დ. ღამბაშიძე.

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

საავადმყოფო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურმიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

წ.

ახალი წიგნი

Какъ улучшить Кавказскую народную школу

(როგორ უნდა აღსდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა)

იაკობ გოგებაშვილისა.

ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც.

ფასი ექვსი შაური (30 კაპ.)

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: სამაზრო წიგნთსაცავ-სამკითხველოს დაარსება რაჭის სამღვდელოების მიერ ს. წესში.—ღარიბ სასულიერო წოდების პირთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოების დაარსების გამო იმერეთის ეპარქიაში, დეკ. დ. ღამბაშიძისა.—მიზეზები კაცის მრავალ უბედურებათა, (თარგ.) ნ. კ—ხ.—ერთი ფრიად სამწუხარო ჩვენი დროის მოვლენა,—მღ. ა. არდიშვილის.—ეპისკოპოსი მარკელი (ნეკროლოგი).—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება: საეჭვო კითხვების განმარტება.—ყველას საყურადღებოდ, დეკ. დ. ღამბაშიძისაგან.—განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 14 октября *1903 г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.